შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№44 (10.049)

26 ნოემბერი-3 დეკემბერი 2022

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროში კიდევ ერთი დაცული ტერიტორია იქმნება

დეტალები სასამართლო დარბაზიდან

როდის დასრულდება ქალაქში გზების რეაბილიტაცია?

ახალი რეკრეაციული სივრცე დედოფლისწყაროში



რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ცენტრალური ბაღის და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია განხორციელდა, შედეგად ქ. დედოფლისწყაროს კიდევ ერთი ახალი რეკრეაციული ზონა შეემატა.

პროექტის ფარგლებში მოეწყო პანდუსი, დაირგო მწვანე ნარგავები, რეაბილიტირდა და განათდა სკვერში არსებული შადრევანი, დამონტაჟდა მზის პანელები, რითაც მოხდა რეკრეაციული სივრცის განათება, ასევე ვიდეოკამერებისა და „ლაითბოქსების“ მონტაჟი.

„ქალაქ დედოფლისწყაროში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ცენტრალური ბაღის და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია ეკომეგობრული მიდგომებით“ ENPARD 3-ის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა.

ახალი მოედნები დედოფლისწყაროს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების სამუშაოების მონახულებას განაგრძობს. მერი ამჯერად სოფელ ზემო ქედსა და ქვემო ქედს ეწვია და ახალი სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

სოფელ ზემო ქედში ორი ახალი მინი სპორტული მოედნის მშენებლობა მიმდინარეობს-ე.წ. „ქსნელების უბანში“ და გმირთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო ქვემო ქედში მინი სპორტული სტადიონისა და ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობა მიმდინარეობს. სამივე ინფრასტრუქტურული პროექტის დასრულება მიმდინარე წლის ბოლოსთვისაა დაგეგმილი.

ყურადღება!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად საახალწლო კალენდარს.

თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფერადი ფოტო განთავსდეს 2023 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ, წარმოადგინოთ ფოტო 22 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში, ფიროსმანის ქუჩა №18 ან დაგვიკავშირდით ნომრებზე: 591 092 472; 591 092 477;

შეგახსენებთ!

კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება, მაგრამ ფოტოზე ორი ან მეტი ბავშვის შემთხვევაში - 20 ლარი.

იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია!!!

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2023 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 20 ლარია, ხოლო 6 თვით - 10 ლარი.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყვეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

როდის დასრულდება ქალაქში გზების რეაბილიტაცია?

„ქალაქ დედოფლისწყაროში არცერთი ჩიხი არ დარჩა ასფალტის გარეშე“ - ამ განცხადებას დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ბოლო წლებში ხშირად აკეთებს. ის თავს იწონებს, რომ მისი მერობის პერიოდში შიდა გზების პრობლემა ჩვენს ქალაქსა და ასევე ბევრ სოფელში მთლიანად გადაიჭრა. თუმცა, გასულ წელს წინასაარჩევნო შეხვედრებზე მას მოქალაქეებმა შეახსენეს, რომ ორი პატარა ქუჩა ქალაქ დედოფლისწყაროში დღემდე ასფალტის გარეშე იყო. მერმა შენიშვნა მიიღო და აღიარა, რომ ეს ორი მონაკვეთი ნამდვილად მისახედი დარჩა. წინასაარჩევნო შეხვედრებზევე გაიცა მორიგი დაპირება, რომ პრობლემა გადაიჭრებოდა. დაპირებიდან ერთი წლის შემდეგ საქმე დაიწყო.

თავდაპირველად ასეთი შენიშვნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ქალაქის მესამე საბავშვო ბაღის სტადიონზე შეკრებილი ამომრჩევლისგან მიიღო, სადაც ალადაშვილის, ჯავახიშვილის, დოდაშვილის, გომელაურისა და მიმდებარე ქუჩების მაცხოვრებლები იმყოფებოდნენ. მოსახლეობამ მიანიშნა, რომ ე.წ. „შებილის“ დასახლებაში, პრესის ქუჩიდან შემავალი პატარა მონაკვეთი, რომელიც ევდოშვილის ქუჩის მეორე შესახვევს უკავშირდება, დღემდე მოუწესრიგებელია. იქ წლების განმავლობაში თვითნებური ნაგავსაყრელი მოქმედებდა.

„როცა ამბობთ, რომ არცერთი ქუჩა არ დატოვეთ და ყველა მოასფალტდა, გვინდა გთხოვოთ, რომ „შებილის“ გზაც მოაწესრიგოთ. ლოლაშვილების სახლის მხარეს, გზის ერთი ნაწილი, რომელიც მაღაზიასთან გამოდის ის მოასფალტდა, ეს გზა იყოფა და ზემოთ მდებარე გზა კი ისევ ისე დარჩა. აქ ასფალტი არასოდეს დაგებულა. იქნებ გაითვალისწინოთ,“ – აღნიშნავდნენ ადგილობრივები.

ამას გარდა, კიდევ ერთი გზაა მიუხედავი. ქალაქის კულტურის სახლის შენობის უკან შემავალი კოსტავას ქუჩაზე გზის პატარა მონაკვეთი, რომელიც კულტურის სახლიდან აგრარულ ბაზართან ჩადის, „ბეკოს“ მაღაზიამდე არასოდეს ყოფილა მოასფალტებული. მიუხედავად იმისა, რომ იქ ბაზრის ამორტიზებული საზოგადოებრივი ტუალეტის ნაცვლად უკვე რამდენიმე წელია სავაჭრო ობიექტები აშენდა, გზა მაინც მოუწესრიგებელი იყო. ნალექიან ამინდში გუბეები დგებოდა და ტალახი დისკომფორტს მრავალი წლის განმავლობაში ქმნიდა.

„მართალი ხართ, ნამდვილად გამოგვრჩენია და არ ვყოფილვარ მართალი, როცა ვამბობდი, ქუჩა არ დარჩენილაო. ეს იმის ბრალია, რომ ამ ორ პატარა მონაკვეთზე იშვიათად ხვდება ადამიანი. ორივეგან თითო-ოროლა მოსახლე ცხოვრობს და ალბათ არც მათი მხრიდან წამოსულა მოთხოვნა და ჩვენც ვერ გავითვალისწინეთ. ორივე მონაკვეთზე იშვიათად მოძრაობს ხალხი. „შებილზე“ მრავალი წელია ნაგავს ყრიდნენ და ვაწესრიგებდით. მეორე გზაც პირდაპირ ქალაქის ცენტრშია. გპირდებით, რომ ბიუჯეტში აუცილებლად გავითვალისწინებთ და ეს საკითხი გადაიჭრება, რომ შემდეგ უკვე თამამად ვთქვათ, არცერთი ქუჩა არ დაგვიტოვებია ასფალტის გარეშეო“ – აღნიშნავდა ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, გასული წლის სექტემბერში გაცემული დაპირების შესრულება მიმდინარე წლის ნოემბრის პირველი რიცხვებიდან დაიწყო, სამუშაოთა მწარმოებელმა კომპანიამ ორივე ქუჩის მოსწორება დაიწყო. სამუშაოები მიმდინარეობს ადგილზე ტექნიკა მუშაობს და ასფალტის საფარის დაგებაც მალე დაიწყება.

პროექტს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ბახტრიონი 2012“ ახორციელებს, მერიასა და შემსრულებელს შორის ხელშეკრულება 20 ოქტომბრითაა დათარიღებული. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ორივე ქუჩის აღდგენისთვის 209 299 ლარია გათვალისწინებული. როგორც კომპანიის დირექტორი ჯაჯუ ზურებიანი განმარტავს, სამუშაოების დამთავრების ვალდებულება მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე აქვთ. პროცესის ინსპექტირებას მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური განახორციელებს.

„დღეს მწვავე განცხადებები ხშირად გვესმის ოპოზიციისგან, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ დედოფლისწყაროს სოფლებში ერთი ვედრო ასფალტიც არ დაუგია. ქალაქშიც მხოლოდ ცენტრალურ გზაზე იყო. წინა ხელისუფლების დროს შიდა გზების კეთილმოწყობაზე ვინ იფიქრებდა, როცა თბილისთან დამაკავშირებელი გზა არ გვქონდა, ასევე უგზოობის გამო სოფლები ვერ უკავშირდებოდნენ რაიონულ ცენტრს და მრავალი წლის განმავლობაში იტანჯებოდა ჩვენი მოსახლეობა. მთლიანად ჩვენი დამსახურებაა, რომ მთავარი გზები კეთილმოეწყო და მოგვეცა იმის შესაძლებლობა, რომ შიდა გზების ასფალტირებასა და შემდეგ განათებებზეც გვეფიქრა. დღეს ყველა სოფელში ქუჩები განათებული გვაქვს და შეგიძლიათ გადაამოწმოთ, ეს რეალობაა. ეს მიდგომა მომავალ წლებშიც გაგრძელდება,“ – აღნიშნა „შირაქთან“ მერმა.

ილია მარტყოფლიშვილი

ქართული დელეგაცია ისტორიულ ჰერეთში იმყოფებოდა

გიორგობას ჰერეთში განსაკუთრებულად აღნიშნავენ. საღვესასწაულო წირვა აღევლინება როგორც ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარში, ისე კახის წმ.გიორგის ეკლესიაში. 23 ნოემბერს საინგილოში იმყოფებოდა ეპარქიის დროებითი მმართველი, მიტროპოლიტი თეოდორე ჭუაძე, ასევე ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სასულიერო პირები, დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მერები, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანში, ზურაბ პატარაძე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, ზაზა ვაშაყმაძე, სააგენტოს თანამშრომლები და სხვა ოფიციალური პირები. პანდემიის გამო, ბოლო რამდენიმე წელია, ისტორიულ ჰერეთში დელეგაციების ვიზიტები ვერ ხორციელდებოდა.

რელიგიის სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დელეგაციის წევრები ეწვივნენ კახის რაიონს, სადაც წმინდა გიორგის ტაძარში წირვა აღავლინეს ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა, თეოდორემ და კახის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა პეტრე ხუმარაშვილმა.

„მიტროპოლიტმა თეოდორემ მადლობა გადაუხადა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარეს, ზაზა ვაშაყმაძეს, რომლის დიდი დამსახურებაცაა დელეგაციის სტუმრობა კახში.

შემდეგ დელეგაციის წევრები კახის რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელს, მუსა შექილიევს და კახში მცხოვრებ ქართველებს შეხვდნენ.

რელიგიის სააგენტოს დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ავთანდილ კვერნაძე, სტრატეგიული კვლევის, ანალიზისა და რეგიონების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ნინო ასათიანი, ანალიტიკოსი, გიორგი პატაშური, ფინანსური მენეჯერი, ლელა ჭიპაშვილი, საქმის წარმოების მენეჯერი, მარინე მაზმიშვილი, სააგენტოს თანამშრომელი ვაჟა ართმელაძე“,-აღნიშნულია ინფორმაციაში.

საჩუქარი წითელი ჯვრისგან!



საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივმა ორგანიზაციამ თავის აქტიურ მოხალისეებს, კერძოდ, დედოფლისწყაროს უშუს გუნდის წევრებს მადლიერების ნიშნად გასვლითი ექსკურსია მოუწყო. ამ მცირე საჩუქრით, გუნდს კიდევ ერთხელ მიულოცეს მათი სპორტსმენის **საბა ბუთხუზის** ევროპის ჩემპიონობა.

როგორც პირველადი ჯანდაცვის კლინიკის მენეჯერმა **ნათელა თამაზაშვილმა** გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აღნიშნა, მოხალისეებმა მცხეთასა და თბილისში მოილოცეს ტაძრები. ისინი დაესწრნენ გასართობ ღონისძიებებსაც.

გარდა ამისა, ქალბატონი ნათელა თამაზაშვილი სამომავლო გეგმებსაც შეეხო. მისი ინფორმაციით, წლის ბოლოს ფინანსების არსებობის შემთხვევაში, ჰუმანიტარული კალათით კვლავ იგეგმება სოციალურად შეჭირვებული ბენეფიციარების დახმარება.

მან მოსახლეობას კიდევ ერთხელ შეახსენა კვირაში ერთხელ, პარასკევ დღეს კვალიფიციური ანგიოლოგის ვიზიტის თაობაზე და აქვე აღნიშნა, რომ მასთან ვიზიტი შესაძლებელია როგორც წინასწარი ჯავშნით, ასევე ადგილზე მისვლით.



„სიმღერა იყო ლხენაც და კვნესაც, ლოცვაც და ჯვარცმაც იყო სიმღერა"

„სიმღერა იყო ლხენაც და კვნესაც,
ლოცვაც და ჯვარცმაც იყო სიმღერა,
და დავამარცხეთ ისევ სიმღერით,
რაც მტერმა რისხვით შემოგვიღერა.
სიმღერა იყო ჩვენი წარსული,
სიმღერა არის ჩვენი დიდება,
ისევ იმღერეთ ოღონდ ქართულად,
და ვარწყვლავეთი გაირინდება."

22 ნოემბერს ამ სიტყვებით დაიწყო დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ხელმძღვანელმა ცარო მარტიაშვილმა ღონისძიება. საქართველოს ბედუკუღმართობით მოწყვეტილი ჰერეთიდან, კახიდან ჩამოსულმა ჭეშმარიტად გულანთებული ქართველი ვაჟკაცებისგან შემდგარმა ფოლკლორულმა ანსამბლმა, „ჰერულამ", რომლებიც ამავდროულად ამ საღამოს ორგანიზატორებიც იყვნენ, კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ ქართველობა დიდი მისიაა და მას განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება. მისი თითოეული წევრი იმ კუთხის მკვიდრია, საიდანაც ანსამბლის სახელი მომდინარეობს. სამშობლოსა და მინა-წყლის სიყვარული ანსამბლის წევრებს წინაპრებმა, დიდმა პაპებმა და მშობლებმა შეაყვარეს. საინგილოში, ისტორიულ ჰერეთში, რომელიც რახანია, აზერბაიჯანის შემადგენლობაშია, საბედნიეროდ, ძირძველი ქართველები დღესაც ცხოვრობენ და ქვეყნისა და ერის კეთილდღეობაში თავიანთი წვლილის შეტანას ცდილობენ. ანსამბლი „ჰერულა" ქართული ხალხური სიმღერის სიყვარულს ემსახურება. მას დღეს ვასილ პაპიაშვილი ხელმძღვანელობს.

„ეს კედლები უამრავი ღონისძიების მომსწრეა. მაგრამ დღევანდელი დღე განსაკუთრებულია. ჩვენთან სტუმრად ჰერეთიდან არიან. ჰერეთი ანუ საინგილო, ქართველებით კომპაქტურად დასახლებული ზაქათალის და ბელექნის რაიონია, რომელიც 1926 წლის შეთანხმებით აზერბაიჯანის შემადგენელი ნაწილი გახდა. საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველობა საქართველოს სიმდიდრეა. ქართული კულტურის პრეზენტატორი ჰერეთის ფოლკორული ანსამბლი „ჰერულა", 2011 წლიდან ემსახურება ავთენტური, ქართული ფოლკლორისა და ინგილოური დიალექტური მუსიკის მოძიება, შენარჩუნება პოპულარიზაციას. გვსურს წარმატებები ვუსურვოთ მათ ამ კეთილშობილურ საქმეში. ისინი დღეს შეგვისრულებენ სიმღერებს თავიანთ მშობლიურ დიალექტზე, კახში გავრცელებულ, საუკუნეების წინ არსებულ სიმღერებს, რომლებიც ქართული ფოლკლორული სამყაროსთვის დღემდე უცნობია. სოლო კონცერტის მიზანი საქართველოში ჰერეთის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის მიმართ ცნობადობის გაზრდაა. კერძოდ, ჰერეთის უახლოეს მუნიციპალიტეტში -დედოფლისწყაროში. დღევანდელი დღე, დარწმუნებული ვარ, ძალიან დიდ ზეგავლენას მოახდენს თითოეულ ჩვენგანზე" - აღნიშნა ცარო მარტიაშვილმა.

მაშინ როცა კახში მთლიანად ჩამკვდარი იყო კულტურული ცხოვრება, 2011 წლის ზაფხულში, კახის რაიონში, ახალი თაობის ახალგაზრდების მიერ დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა ჰერეთის ფოლკლორული ანსამბლი „ჰერულა". დიდხნიანი რეპეტიციების შემდეგ, მათი პირველი კონცერტი სოფელ ალიბეგლოში შედგა. მას შემდეგ რაც საქართველოდან დაუკავშირდნენ, საერთაშორისო ფესტივალ „ჩვენებურების" კონცერტებზე და ბათუმის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე მიიღეს მონაწილეობა. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ანსამბლის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. ამ ახალგაზრდებმა ახალი სიცოცხლე შთაბერეს მას. დღეს ანსამბლის წევრები სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობენ, როგორიც სწორედ დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრში ჩატარებული საღამო იყო.

ვასილ პაპიაშვილი, **ანსამბლ „ჰერულას" ხელმძღვანელი: „მოგეხსენებათ, ჩვენ აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, კახის რაიონიდან, ანსამბლი „ჰერულა" გახლავართ. ჩამოვედით რათა ჩვენს მეზობელ რაიონს დედოფლისწყაროს, გავაცნოთ ჩვენი კუთხის შემოქმედება. შემოქმედება, რომელიც ჩვენმა საერთო წინაპრებმა შექმნეს და დღემდე მოგვიტანეს. მათ შორის ის ნიმუშებიც, რომელიც თანამედროვე, სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინანდელ ჰერეთის ქართველობას ეკუთვნის. მიხვდებოდით, რომ შესრულებული სიმღერა „უწინ იყო ნანას დროებ" ჩვენი კუთხის კილოზე იყო წარმოდგენილი. სიტყვებს, ალბათ, გაიგებდით - ეს იყო ძველქართული სიტყვები და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ენასთან ახლოს მდგომი დიალექტი. შაჰ-აბასის და სხვათა შემოსევების შედეგად, როცა ჰერეთი მოსწყდა ერთიან საქართველოს, ჩვენი ენა და დიალექტი დაკონსერვდა, დარჩა ცალკე და იმ ეპოქაში, სადაც დასრულდა ჩვენი საქართველოსთან ერთიან სახელმწიფოში ცხოვრება. ჩვენი და ზოგადად საქართველოს ხალხური სიმღერები გამოირჩევა მრავალფეროვანი, ჰარმონიული მუსიკათშეთანხმებით. თუ ისტორიას გადავხედავთ, მას შემდეგ რაც ჰერეთი მრავალთა შემოსევისას მოსახლეობისგან დაცარიელდა, გადარჩენილ რამდენიმე ასეულ თუ ათეულ ქართველს აღარ შეეძლო სიმღერა, ერთი მხრივ სიმცირისა და მეორე მხრივ ლეკებისა და სპარსების უღელქვეშ ყოფნის გამო. მათ არ ჰქონდათ უფლება თავისუფლად ემღერათ, ელოცათ და ა.შ. დღეს ჩვენი ამ სცენიდან მოსალმება, საუბარი თუ სიმღერა, ქართულად და არა ირანულად, სპარსულად ან ლეკურად, ვფიქრობ, ჩვენი წინაპრების სულების გამარჯვებაა. ეს სიმღერა, რომელიც ახლა წარმოგიდგინეთ, არის გახალხურებული, თუმცა მას ჰყავს ავტორი - მალხაზ ნუროშვილი, კახის პირველი ქართული ხალხური ფოლკლორული ანსამბლის „კახის შვიდკაცას" წევრი."**

ვასილ პაპიაშვილმა მსმენელი წარსულში არაერთხელ ამოგზაურა. დამსწრე საზოგადოების წინაშე თითოეულ სიმღერას თავისი ისტორიით აცოცხლებდა: „სიმღერას, რომელიც წარმოგიდგინეთ, ჰქვია „ავთანდილ გადინადირა". ეს ძალზედ საინტერესო სიმღერა, შეიძლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც სრულდებოდა, მაგრამ საქართველოში ის, პირადად მე, არ მომისმენია. იგი დაახლოებით ერთი საუკუნის წინ სრულდებოდა ჰერეთში, კახში. ერთ-ერთი ვინც მას ასრულებდა პირადად პაპაჩემი - ვასილ პაპიაშვილი იყო. ამ სიმღერის კიდევ ერთი შემსრულებული იყო - ათაბეგ ოქროჯანაშვილი, დროებითი ელჩი ირანში, რომელსაც საოცარი მუსიკალური ნიჭი ჰქონდა (მოგეხსენებათ, ნიჭიერ ხალხს აგზავნიდნენ ელჩებად). სავარაუდოდ, ამ სიმღერას საქართველოს ფოლკლორული თუ სამუსიკო საზოგადოება არ იცნობს".

ანსამბლმა შეასრულა სიმღერა „ლეკებმა რომ მომიტაცეს", რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში სრულდებოდა ჰერეთში. „თუ დააკვირდებოდით, შენიშნავდით, რომ ეს სიმღერები ცოტა არათანამედროვედ ჟღერს. ძველი სიმღერაა, ძველებული რიტმია და შესაბამისად, ახლებური ელფერი შევმატეთ, რომ უფრო საინტერესოდ წარმოდგენილიყო. რაც შეეხება, ორიგინალს, ის სრულდებოდა საზზე. ეს იმიტომ, რომ ჩაკეტილობის გამო ქართული საკრავები არ შედიოდა ჰერეთში. ამიტომ, ჩვენი წინაპრები იძულებულნი იყვნენ საიდანაც ხელეწიფებოდათ იქაური საკრავი აეღოთ (ამ შემთხვევაში აზიური, აღმოსავლური) და ქართულად ემღერათ აღნიშნულ ინსტრუმენტზე. სიმღერა „ლეკებმა რომ მომიტაცეს", მათ მიერ სრულდებოდა, მაგრამ საკრავის გარეშე. ტექსტი გახლავთ ქართული, ხალხური ზეპირმეტყველების ნიმუშიდან აღებული. ჩვენ ვიცნობთ ამავე ტექსტის გურულ ვერსიას, რომელიც ჩონგურზე სრულდება. მაგრამ, ჰერული ვერსია ჩონგურის გარეშე, ერთხმაში სრულდებოდა, რადგან გუნდები არ იყო, შაჰ-აბასიდან მოყოლებული გასული საუკუნის დასასრულამდე (როცა პაპაჩემი მღეროდა). შესაბამისად, ერთი კაცი მარტო მღეროდა ამ სიმღერას. თუმცა, ვინაიდან ჩვენ ანსამბლის სახით ვართ წარმოდგენილი, ამ სიმღერას, ხმებში შემოგთავაზეთ." - აღნიშნა ანსამბლის ხელმძღვანელმა.

საინტერესო ისტორიის აღმოჩნდა მათ მიერ შესრულებული კიდევ ერთი სიმღერა „არაწითი ღვინეს დავლევ": **„ჩემი ინფორმაციით ეს სიმღერაც არ არის დაფიქსირებული საქართველოში ფოლკლორის საგანძურში და დედოფლისწყაროს სცენაზე ის პირველად გაჟღერდა. არაწი - ეს არის ჰერული ღვინის სასმისი. სახელი მომდინარეობს მისივე შინაარსიდან. თუ შეხედავ იფიქრებ, რომ პატარაა, ეს რას მიზავს, დავლევ ბოლომდე. თუ შეყვები, მიხვდები, რომ არ უნდა აგეწია. ამიტომ, „არაწი" ჰქვია. „არაწითი ღვინეს დავლევ" დაიწერა და შემდეგ გახალხურდა კახში, მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, კახში ჩამოყალიბებული პირველი ქართული ანსამბლის „კახის შვიდკაცას" წევრის მალხაზ ნუროშვილის მიერ, ხოლო ჩვენ ჩვენივე რეპერტუარში ის შემდგომ შევიტანეთ. მისი სტუდიური ჩანაწერიც გვაქვს. დღეს ცოცხლად წარმოგიდგინეთ თქვენი კულტურის ცენტრის სცენაზე."** - განმარტა ვასილ პაპიაშვილმა.

კონცერტის პირველი ნაწილი ანსამბლ „ჰერულას" შემოქმედებას დაეთმო, რომელმაც ჰერეთის ქართული სულისკვეთება ჩვენამდე კიდევ ერთხელ მოიტანა. მათი შემოქმედების წარდგენას მხარი დაუჭირა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ პროექტ „ქართული ფოლკლორული და საესტრადო მუსიკის პოპულარიზაცია რეგიონებში" ფარგლებში. მეორე ნაწილი კი საქველმოქმედო იყო, რომელში მონაწილეობაც ქართული ესტრადის წარმომადგენლებმა და უცხოეთიდან მოწვეულმა სტუმრებმა მიიღეს. ნებისმიერ მსურველს შეეძლო შესაწირის გაღება. შემოსული თანხა წმ.ქეთევან დედოფლის სახელობის სამთაწყაროს ტაძრის მშენებლობას მოხმარდება. საქველმოქმედო ნაწილში წარმოდგენილ მომღერლებს: ნათია ქოროღლიშვილს, ტატო გოდერძიშვილს, გიორგი წერეთელს, გიორგი ნიკლაურს, სოფო ბუთურიშვილს, თამუნა მიქელაძეს, ისრაელ შპიგელს და მის მეუღლეს სვეტა ვასილიევას მადლობა გადაუხადა ანსამბლის ხელმძღვანელმა ვასილ პაპიაშვილმა. „მინდა ჩვენი სოლო გამოსვლის მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, რომლის პროგრამის ფარგლებში მოხდა, ჩვენი ჰერეთის ანუ საინგილოს ფოლკლორული ანსამბლის „ჰერულას" გამოსვლა ამ სცენაზე. მოგახსენებთ, რომ ეს კონცერტი ინიცირებულია ჩვენი ანსამბლის მიერ. მადლობა მინდა გადაგიხადოთ თქვენ, დედოფლისწყაროს მსმენელს მობრძანებისთვის. მადლობა უნდა გადავუხადო დედოფლისწყროს კულტურის ცენტრს, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობას."

საღამო ჰერული მრავალჟამიერით დასრულდა. ანსამბლის წევრებმა (გიორგი პაპიაშვილი, ბაჩუკი ისაშვილი, გიორგი ნუროშვილი, ირაკლი ლომაშვილი, გიორგი ბაბაჯანაშვილი) ის სიმღერები შეასრულეს, რომლებიც ჰერეთში გასული საუკუნის ქარტეხილების გამო მინავლებული, მივიწყებულიც კი იყო. მათ იმ შემორჩენილი ფრაგმენტების დახმარებით, შეკრეს „ჰერული მრავალჟამიერი", „მრავალჟამიერი" რომელიც, მოგეხსენებათ, საქართველოს ყველა კუთხეს აქვს. ცხადია, ჰერეთი „მრავალჟამიერის" გარეშე არ იქნებოდა ისეთი, როგორც ის დღეს არის. მათ კიდევ ერთხელ დაატკბეს დამსწრე საზოგადოება „ჰერული მრავალჟამიერის" საოცარი ჟღერადობით.

ცარო მარტიაშვილი: „ანსამბლ „ჰერულას" მიერ შესრულებული სიმღერის ფონზე არ შემიძლია ჩემი, თქვენი და ყველას სახელით მადლობა არ ვუთხრა იმ უკიდეგანოდ კეთილშობილური საქმიანობისთვის, რასაც ეს ბიჭები ეწევიან. ყველა ქართველები ვართ და ყველას კარგად გვესმის ქველმოქმედების ფასი. ამ ბიჭებმა ალაზანს გაღმა საქართველოდან ყველას კიდევ ერთხელ გვითხრეს:

„დავბადებულვართ რომ გვერქვას მონა,
და საქართველოს გვედგეს უღელი,
მაშ, გამარჯობა, ტკბილო სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელნი".

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა გენაშვილი



სეზონური ვირუსების პირისპირ

წელს სეზონური გრიპის შემთხვევების მატება ძალიან ადრე დაიწყო. ამის შესახებ განცხადებას აკეთებს იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი ივანე ჩხაიძე. მისი თქმით, გრიპის ვირუსის შემთხვევები დეკემბერ-იანვარში პიკს მიაღწევს.

მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის მონაცემებით, პანდემიის დროს ჩატარებული ეპიდსაწინააღმდეგო ქმედებების გამო მოსახლეობის უმეტესობამ დაკარგა გრიპის საწინააღმდეგო ანტისხეულები და ამის გამო შესაძლებელია სეზონური ვირუსის გააქტიურება. ამჟამად საქართველოში გავრცელებულია ე.წ. ჰონკონგის H-3 N-2 ვირუსი და ასევე 2009-10 პანდემიის H-1 N-1 ვირუსის შემთხვევები.

ზოგადი მონაცემებით, გრიპის ვირუსის კორონავირუსისგან განსხვავება ძნელია, თუმცა მკურნალობა მათზე განსხვავებულია. სეზონური გრიპი განსაკუთრებით საშიშია ბავშვებში.

ივანე ჩხეიძის თქმით, ნოემბერი, დეკემბერი და განსაკუთრებით, დეკემბერ-იანვარი გრიპის მაქსიმალური აქტიურობის პერიოდი იქნება და სწორედ დეკემბერ-იანვარშია ქვეყანაში გრიპის შემთხვევები პიკზე.

„ნოემბრიდან გრიპის ვირუსის მატება რომ დაიწყებოდა, ეს არ არის რთული საპროგნოზო. NCDC-ის ბოლო ათწლეულის მონაცემები მიუთითებს, რომ გრიპის შემთხვევების მატება ნოემბრიდან იწყება და მარტის ბოლომდე გრძელდება. სეზონურობა გრიპის სწორედ ამაში აისახება, შესაბამისად, მოლოდინი გვქონდა, თუმცა გრიპის ვირუსს ყოველ წელს განსხვავებული სტარტი აქვს. 2019 წელს დეკემბერში გამოვლინდა გრიპის პირველი შემთხვევები და შემდეგ მოემატა, წლევანდელი წელი განსხვავებულია, რადგან ძალიან ადრე დაიწყო გრიპის შემთხვევების მატება და თუ გადავხედავთ ჯანმო-ს გრიპზე ზედამხედველობის გვერდს, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან არის მონაცემები, ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ბოლო ორი კვირის განმავლობაში გრიპის შემთხვევები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 44-ე კვირას თუ სამი შემთხვევა იყო დადასტურებული, 45-ე კვირას უკვე ათი შემთხვევაა და სავარაუდოდ, მატების ეს ტემპი შენარჩუნდება მომდევნო პერიოდის განმავლობაშიც. მოლოდინი, რომ ნოემბერი, დეკემბერი და განსაკუთრებით დეკემბერ-იანვარი გრიპის მაქსიმალური აქტიურობის პერიოდი გვაქვს, სწორედ დეკემბერ-იანვარშია ქვეყანაში გრიპის შემთხვევები პიკზე. რიგ შემთხვევებში მეორე პიკიც ფიქსირდება მარტის თვეში, მაგრამ ყველაზე მძიმე ამ თვალსაზრისით დეკემბერ-იანვარია", - აღნიშნა ჩხაიძემ.

ამასთან, როგორც ივანე ჩხეიძე აცხადებს, შემთხვევების მატების მოლოდინია კორონავირუსთან დაკავშირებითაც და რთული გასარჩევი იქნება, რა ტიპის ვირუსი აქვს პაციენტს.

„როგორც ჯანმო ამბობს, პანდემიის მიმდინარეობისას ორ-სამ წლიანმა ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებმა მოსახლეობაში პრაქტიკულად გააქრო გრიპის საწინააღმდეგო იმუნიტეტის მქონე ადამიანების ფენა, შესაბამისად დამცველობითი უნარი გრიპის საწინააღმდეგო ანტისხეულების ძალიან ცოტას აქვს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, ამიტომ მოლოდინი, რომ გრიპის შემთხვევები იქნება უფრო მეტი, ვიდრე პანდემიამდე პერიოდში, რეალურად არსებობს. ეს არის ე.წ ჰონგკონგის ვირუსი H3N2 ტიპის ვირუსი და ერთეული შემთხვევები ფიქსირდება H1N1 ტიპის ვირუსისა. ანალოგიური მატების მოლოდინი გვაქვს კორონავირუსთან დაკავშირებით, ამიტომ, საკითხი თუ რა ტიპის ვირუსია, ხშირ შემთხვევაში რთული გასარჩევი იქნება. ის, რაც გრიპისთვისაა დამახასიათებელი, ტემპერატურის მკვეთრი მატება 38.5 და მეტი ძლიერი სისუსტე, კუნთების და სახსრების ტკივილი, ყელის, თავის ტკივილი - ეს ზოგადად ასახავს გრიპის ვირუსის მიმდინარეობის სიმძიმეს. ომიკრონს არ ახასიათებს ასეთი მძიმე მიმდინარეობა, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ომიკრონის შემთხვევაშიც დაფიქსირდეს მაღალი

ცხელება. ამიტომ მხოლოდ კლინიკური მიმდინარეობით ძალიან ძნელი იქნება განსხვავება- ეს არის გრიპი, თუ კორონავირუსი.

15 ნოემბრამდე იყო გრიპის საწინააღმდეგო აცრა უფასო და კიდევ თვის ბოლომდე გაგრძელდა, ამიტომ განსაკუთრებით ეს ეხებათ იმ ადამიანებს, რომლებიც რისკის ჯგუფის კატეგორიაში შედის, ესენი არიან - ორსულები, 65 წელს გადაცილებული მოსახლეობა, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, სამართალდამცავები, ექიმები და ა.შ. ძალიან კარგი იქნება თუ ახლაც გავიკეთებთ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინას", - განაცხადა ჩხაიძემ.

ივანე ჩხაიძის განცხადებით, თუკი ომიკრონის შემთხვევები ნაკლებად ფიქსირდებოდა ბავშვებში, გრიპთან დაკავშირებით სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა. წლამდე ასაკის ბავშვებში გრიპი განსაკუთრებულად მძიმედ მიმდინარეობს და შესაბამისად, როდესაც საუბარი გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე 2 წლამდე ასაკის ბავშვი მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნება. „შესაბამისად, გრიპი ბავშვებისთვის გაცილებით მეტად საშიშია გართულებებისა და გამოსავლის მიხედვით, ვიდრე კორონავირუსის ის ვარიანტი, რომელიც ახლა საქართველოში ცირკულირებს. ამიტომ, მიმართვიანობა მკვეთრად არის მომატებული."

მისი განმარტებით, ზოგადად ჯანმო 2022-23 წლების სეზონზე სამი ტიპის ვირუსის გააქტიურებაზე საუბრობს და ჯანდაცვის სისტემას ურჩევს, რომ ყურადღება გაამახვილოს გრიპზე, კორონავირუსზე და რესპირაციულ-სენსიტიურ ვირუსზე.

„რესპირაციულ-სენსიტიური ვირუსი, რომელიც ძირითადად ბავშვებში გვხვდება და 2 წლამდე ბავშვებს აზიანებს, იწვევს სუნთქვის უკმარისობით მიმდინარე ბრონქოლიტს ან ფილტვების ანთებას. ამიტომ, თუ შარშან საუბარი იყო ორი ვირუსის: კორონავირუსის და გრიპის ერთდროულად არსებობაზე ჯანმო და ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრი უკვე მესამე ვირუსს ამატებს, რისი მაგალითიც აშშ-ში რამდენიმე კვირაა აღინიშნება",-აცხადებს ჩხაიძე.

ექიმების განმარტებით, ე.წ. ჰონგ-კონგის ტიპის ვირუსი (H3N1 ტიპის ვირუსი) დაახლოებით ხუთი დღე გრძელდება. სპეციალისტების რეკომენდაციები იგივე რჩება: ხელის დეზინფექცირება, პირბადე და სასურველია, გრიპის შემთხვევაში, სახლში დარჩენა.

ჰონგ კონგის გრიპი, ასევე ცნობილია როგორც 1968 წლის გრიპის პანდემია. მისმა აფეთქებამ 1968 და 1969 წლებში მსოფლიოში ერთიდან ოთხ მილიონამდე ადამიანი დაიღუპა. ეს არის ისტორიაში ყველაზე მომაკვდინებელი პანდემია და გამოწვეული იყო გრიპის A ვირუსის H3N2 შტამით. ვირუსი წარმოიშვა H2N2-დან (რომელმაც გამოიწვია აზიური გრიპის პანდემია 1957-1958 წლებში) ანტიგენური ცვლის გზით, გენეტიკური პროცესის დროს, რომლის დროსაც მრავალი ქვეტიპის გენები ხელახლა ერწყმის ახალ ვირუსს. გრიპის სიმპტომები, როგორც წესი, გრძელდება ოთხიდან ხუთ დღემდე, მაგრამ ზოგიერთი შემთხვევა ორ კვირამდეც გრძელდება.

* * *

თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ დედოფლისწყაროში, ამის გასარკვევად გაზეთი „შირაქი" დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელს **მარიეტა გონაშვილს** დაუკავშირდა.

მისი ინფორმაციით, ამ ეტაპზე გრიპის სეზონური ვირუსი ძირითადად ბავშვებში ცირკულირებს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ხველა, მაღალი სიცხე, სისუსტე, ყელის ტკივილი. კითხვაზე, მიმდინარეობს თუ არა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, მარიეტა გონაშვილმა აღნიშნა, რომ ის ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს და მიმართვიანობა კვლავ არის. საუბარი შეეხო ასევე კორონავირუსის გავრცელებასა და მიმდინარეობას. მარიეტა გონაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე კორონავირუსის შემთხვევები არ ფიქსირდება.

შეგახსენებთ, რომ პრევენციისთვის საჭიროა ხელის დეზინფექცირება, პირბადე და სასურველია, გრიპის შემთხვევაში, სახლში დარჩენა. გაზეთი „შირაქი" ჯანმრთელობას უსურვებს ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ზემო ქედში 5 წლის ბიჭის გარდაცვალების საქმის დეტალები სასამართლო დარბაზიდან

ზემო ქედში 5 წლის ბიჭის გარდაცვალების საქმეზე დაკავებულ, ადგილობრივ მცხოვრებ - ვანო წიკლაურს სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ 4 წლიანი სასჯელი შეუფარდა, საიდანაც 2 წელსა და 8 თვეს საპატიმროში მოიხდის, წელიწადი და 4 თვე კი პირობითი მსჯავრი განესაზღვრა. სისხლის სამართლის საქმეს მოსამართლეები გიორგი ბუხრაშვილი და ლიკა ბოკერია განიხილავდნენ, განაჩენი კი მოსამართლე ლიკა ბოკერიამ 22 ნოემბრის სხდომაზე გამოაცხადა. დაკავებულისთვის წარდგენილი ბრალი 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა, თუმცა სასამართლომ მინიმალური სასჯელი გამოიყენა.

 შემთხვევის ადგილი

მიმდინარე წლის 4 სექტემბერს ზემო ქედში ლანჩხუთიდან მიდელაშვილების ოჯახში სტუმრად მყოფი 5 წლის დათა ფირცხალაიშვილი ავტოსაგზაო შემთვევას ემსხვერპლა. გამოძიების მიხედვით, ბავშვი გზის სავალ ნაწილზე გადავიდა, „ოპელის“ მძღოლმა კი რეაგირება ვერ მოასწრო და მოზარდის სიცოცხლე იმსხვერპლა. დაზარალებული მხარე საპირისპიროს ამტკიცებს, რომ ბავშვი არსად გადასულა და ტროტუარზე იდგა. გარდაცვლილის ოჯახი განაჩენს არ ეთანხმება და ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრებას გეგმავს. ისინი არცერთ სხდომას არ დასწრებიან და ამ დრომდე მათ ადვოკატიც არ აუყვანიათ. „შირაქთან“ საუბრისას **ფირცხალაიშვილები ამბობენ, რომ არცერთი სასამართლო სხდომის თარიღის შესახებ მათი ინფორმირება არ მოუხდენიათ. დაკავებულის ოჯახი კი აღნიშნავს, რომ ბავშვი მარჯვენა მხრიდან გამოიქცა, მიდელაშვილების სახლი კი მარცხნივაა, შეჯახებაც მარჯვენა კუთხით მოხდა. ამდენად ისინი კითხვას სვამენ, თუ არსად გადასულა ბავშვი, როგორ აღმოჩნდა მეორე მხარეს.**

„შირაქმა“ ყველა მხარის პოზიცია მოისმინა და ექსპერტიზის დასკვნებსა და საგამოძიებო დოკუმენტებშიც ჩაიხედა.

შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის კახეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის კომპლექსური ტრასოლოგიური და ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია:

„ექსპერტიზაზე წარმოდგენილი საქმის მასალების მიხედვით, დადგენილია, რომ 4 სექტემბერს 19:20 საათზე ზემო ქედში, არხილოსკალოს მიმართულებით, მოძრაობდა „ოპელი“, რომელსაც ვანო წიკლაური მართავდა. იმავე დროს, მისგან მარჯვნიდან მარცხნივ, სავალი ნაწილის გვერდულზე გაჩერებული ავტომობილის უკანა მხრიდან საავტომობილო გზას სწრაფი სირბილით კვეთდა ქვეითი დავით ფირცხალაიშვილი, რომელიც გადმოვიდა სავალ ნაწილზე და სავალი ნაწილის დაახლოებით შუაში გაჩერდა. ამის დანახვაზე მძღოლმა იხმარა მუხრუჭი, საჭე მიმართა მარცხნივ, მაგრამ ქვეითთან შეჯახება ვერ აიცილა. როცა ქვეითი სავალ ნაწილზე გაჩერდა, შეჯახებამდე დაახლოებით 3 წამის განმავლობაში იდგა. ძრავის სახურავის მარჯვენა უკანა ნაწილში აღენიშნება დაზიანების კვალი, დაზიანებულია ბამპერის მარჯვენა ნაწილი და მარჯვენა წინა მაშუქი. ხასიათიდან გამომდინარე გამოწვეულია რაიმე რბილი საგნის ზემოქმედებით, ეს შეიძლება იყოს ადამიანის სხეულიც.

შემთხვევის ადგილზე გზის სიგანეა 6,9 მეტრი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ არის ორი პარალელური მუხრუჭის კვალი, მისი სიგრძეა 10,7 მეტრი. ვანგარიშობთ, რა სიჩქარით მოძრაობდა ავტომობილი, რომელმაც დატოვა 64,9 მეტრი მუხრუჭის კვალი. მივიღებთ, რომ ოპელი მუხრუჭის კვალის მიხედვით მოძრაობდა 110 კმ/სთ სიჩქარით. ქვეითი გზაზე გაჩერებულ ავტომანქანის უკან მოძრაობდა, ამდენად მძღოლის მხედველობის არეში სწრაფი სირბილით სავალ ნაწილზე გაჩერებამდე გაირბენდა დაახლოებით 4,3 მეტრ მანძილს.

თუ მძღოლი მოძრაობს 60 კმ/სთ სიჩქარით, გასაჩერებლად ესაჭიროება 3,6 წამი, ხოლო ქვეითი საფრთხის წარმოქმნიდან შეჯახებამდე სავალ ნაწილზე იმყოფებოდა დაახლოებით 4,4 წამის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში მძღოლს ტექნიკური თვალსაზრისით მომხდარი საგზაო შემთხვევის აცილება შეეძლო. ვანო წიკლაურის მოქმედება არ შეესაბამება საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მუხლი 33, პუნქტი 1-ის მოთხოვნებს, რომელთა დაცვის შემთხვევაში ეს შემთხვევა შეუძლებელი იქნებოდა. ამ მუხლით მძღოლს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალების მართვა სიჩქარის გადაჭარბებით. სიჩქარე მძღოლს საშუალებას უნდა აძლევდეს, მუდმივად აკონტროლოს ტრანსპორტი ისე, რომ მოძრაობის უსაფრთხოება დაცული იყოს. ოპელის საჭის მართვის მექანიზმი და სამუხრუჭე სისტემა გამართულია“. – ვკითხულობთ დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერს მთავარი ექსპერტი არჩილ ღვინიაშვილი.

შემთხვევის ადგილი დაათვალიერა შსს დედოფლისწყაროს სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელმა კახა კორახაშვილმა, ასევე მონაწილეობდნენ ექსპერტები ზაქარია ლაზარიაშვილი და გელა ფრიდონაშვილი. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, საქმეს შს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი ვლადიმერ შალვაშვილი იძიებდა.

თეონა კილაძე (ბავშვის დედის ჩვენებიდან): „სექტემბრის თვეში სტუმრად ვიმყოფებოდით ნათესავებთან, 4 სექტემბერს გარეთ ქუჩაში, ტროტუარზე იმყოფებოდა ჩემი შვილი, 23.02.2017 წელს დაბადებული დავით ფირცხალაიშვილი, რა დროსაც მას დაეჯახა ვანო წიკლაური მისი მანქანით. მიყენებული დაზიანებებით ჩემი შვილი გარდაიცვალა ზემო ქედის ამბულატორიაში. მოგახსენებთ, რომ მე პრეტენზია გამაჩნია ვანო წიკლაურის მიმართ და ვითხოვ, გამოყენებული იქნეს უმკაცრესი ზომები და დაისაჯოს კანონის შესაბამისად“.

ანა მიდელაშვილი: „ლანჩხუთიდან ჩვენი ნათესავები კვირაზე მეტი ხნის ჩამოსული იყვნენ ზემო ქედში, ჩვენთან ცხოვრობდნენ. სოფელში ეკლესიას ვაშენებთ, გარდაცვლილი ბავშვის პაპა მშენებელია, მამაც ტაძრის გადახურვის სამუშაოებში გვეხმარებოდნენ, მუშებიც მათ ჩამოჰყავდათ ხოლმე და ახლაც ამ მიზნით ჩამოვიდნენ. იმ დღესაც ისინი მშენებლობაზე იყვნენ, დანარჩენები სახლში ვიყავით. შუადღისას მეზობლებთან მყავდა დათა, ვეთამაშებოდი. საღამოს ბავშვი ტიროდა, გარეთ ბავშებთან გაყვანას ითხოვდა, მაგრამ დედა არ უშვებდა. არ გაჩერდა და ბოლოს მამაჩემმა მოკიდა ხელი და გაიყვანა. იქვე ცემენტის მანქანა მუშაობდა მეზობლის ეზოში და მამამ იფიქრა, ტაძრისთვის შევუთანხმდებიო, სულ ორი წუთით გავიდა და ამ დროს დატრიალდა ეს უბედურება. მე ქუჩის კართან ვიდექი, ბავშვის დედა კი ჩვილით ხელში, ქუჩის გარეთ იდგა, თან ვსაუბრობდით და თან დათას ყურადღებას აქცევდა. რომ ამბობენ, უყურადღებოდ მიატოვესო, სიცრუეა. დაახლოებით 50 მეტრში ვიდექით. ოთხი-ხუთი ბავშვი მესერთან თამაშობდა. ველოსიპედი, ან ასეთი რამ არ ჰქონიათ, ისე თამაშობდნენ. ამ დროს დიდი სისწრაფით გაიარა ამ მანქანამ, „ეს ვიღაცას გაიტანსო“ დედამისმა თქვა, მაგრამ ვერც დაასრულა, რომ შეჯახების ხმა გავიგეთ. ატყდა ყვირილი, მანქანა მობრუნდა, თავადვე წაიყვანა ექიმთან და ჩვენ სხვა მანქანით გავყევით

უკან. ექიმი ხარხელაური ადგილზე იყო, დავინახე მძღოლმა როგორ გადააწოდა ბავშვი ექიმს. უგონოდ იყო, არც თვალი გაუხელია. ბევრი ეცადა, ყველაფერი გააკეთა,მაგრამ ვერ უშველა. სხვა სასწრაფო ჯგუფიც მოვიდა, თუმცა ამაოდ. დედოფლისწყაროშიც აღარ გადაუყვანიათ. რაც მე დავინახე, ბავშვს მუცლის არეში ჰქონდა დალურჯებები, შუბლთან, ყურთან და კისერთან ტრავმა, კიდურებიც დაყვლეფილი. გაკვირვებული ვართ ექსპერტიზის დასკვნით და სასამართლო განხილვებით. ჩვენი მხარე არ ყოფილა ჩართული არც გამოძიებაში, არც სასამართლო განხილვაში. როცა დასკვნაში წერენ- ბავშვმა გადაირბინაო, ეს ჩვენთვის გაუგებარია. **ხაზგასმით ვამბობთ, რომ ბავშვი ტროტუარიდან არცერთი ნაბიჯით არ გადმოსულა გზაზე. დათა იდგა და არსად გადარბენას არ გეგმავდა, ზოგადად, ზორბა ბავშვი იყო და ასე ვერ გადაირბენდა. მანქანა იმაზე სწრაფად მოდიოდა, ვიდრე ნათქვამია**. ეს ისეთი ადგილია, ბევრი ბავშვი ცხოვრობს და ამ სისწრაფით სიარული არ შეიძლება, თუ ფხიზელი იყო, ვერ ამომიხსნია, რატომ მიდიოდა ასე. დამნაშავე მხოლოდ მაშინ დავინახე, როცა ექიმს ბავშვი მიუყვანა, თუმცა, არ შემიძლია ვთქვა, ფხიზელი იყო, თუ არა. დათა არასოდეს ქუჩაში მარტო არ გასულა და უყურადღებოდ არ დაგვიტოვია. ზოგადად, თეონა ძალიან ყურადღებიანია, „გიჟი დედაო“ რომ იტყვიან, ასეთია“.

ნოდარ ყველაიძე (თვითმხილველის ჩვენება): „ვანომ გამომიარა, „გარადოკებთან“, ამავე სოფელში ბებიასთან მიდიოდა, მითხრა, გოჭის ყიდვა რომ გინდოდა, წამოდი, მას ჰყავსო. მურთაზ სუარიძის მაღაზიაში იყიდა საკვები და წავედით. მე უკან ვიჯექი, წინ კი მერაბ ილურიძე. არც ისე სწრაფად ვმოძრაობდით. სპიდომეტრისთვის არ დამიხედავს, მაგრამ არც **ნელა ვმოძრაობდით, არც სწრაფად. როცა მივუახლოვდით შმაგი გავაშელიშვილის სახლს, საშუალო სიჩქარით, დაახლოებით 50-60 კმ/სთ. მარჯვნივ დავინახე გავაშელიშვილის კუთვნილი „გაზელი“ იდგა ცხვირით დასავლეთით, ანუ ჩვენსკენ. ჩვენ ვმოძრაობდით ჩვენს ზოლში, მარჯვნივ. უცებ მერაბიმ დაიყვირა, „ნელა ბავშვიო“. მეც მომენტალურად დავინახე, რომ გაჩერებული საბარგულიანი „გაზიკის“ უკანა მხრიდან, ორღობიდან გზაზე გამოიქცა პატარა ბიჭი. დაამუხრუჭა და საჭე მიმართა მარცხენა მხარეს, მაგრამ ვერ ააცილა.** ბავშვი დაეცა, მართვადაკარგულმა მანქანამ სვლა გააგრძელა, ავარდა ბორდიურზე. გადმოვედით მაშინვე, ჩვენ დაგვტოვა და ბავშვი წინა სავარძელზე დააწვინა, იქნებ რამე ვუშველოო და ზემო ქედის მიმართულებით დასავლეთისკენ წავიდა. ეს ბავშვი არ მყავდა ნანახი და ვერ ვიცნობდი. როცა ბავშვი დავინახე მასა და მანქანას შორის მანძილი იყო დაახლოებით 15-20 მეტრი. **რომ დაამუხრუჭა ბავშვი გამოიქცა გვერდულად, ირიბად და გარბოდა ჩიხიდან გამოსასვლელიდან მარჯვენა მხარეს. ბავშვი ჩვენსკენ კი არ გამოიქცა, გზაზე გამოსვლისას ირიბად გადმოკვეთა გზა და გაიქცა ჩვენივე თანხვედრი მიმართულებით.** დამატებით გიპასუხებთ, რომ **ბავშვი შეჯახების მომენტში იმყოფებოდა გზის სავალი ნაწილის შუა ადგილას. გზის ნაწილი, რაც გაიარა, გაიარა სწრაფი სირბილით.** იმ დროს არ მოძრაობდა არც სხვა ავტომობილი, არც პირუტყვი, ან ცხოველი. შეჯახების დროს ნათელი იყო და ფარები არ გვჭირდებოდა. უცნობია ჩემთვის, იყო თუ არა ნასვამი ვანო, ერთად არ დაგვილევია და არც რამე უთქვამს ამაზე“.

„შირაქი“ დაკავებულის ადვოკატს შეხვდა. მისი მტკიცებით, გზის ამ მონაკვეთზე დაშვებულია 60 კმ-სთ სიჩქარით მოძრაობა, თუმცა ოპელის მარკის ავტომანქანა, რომელსაც ვანო წიკლაური მართავდა 80 კმ-სთ სიჩქარით მოძრაობდა. დაკავებულ მძღოლს ორი მცირეწლოვანი შვილი და რვა თვის ორსული მეუღლე ჰყავს. წიკლაურების ოჯახში ამბობენ, რომ გაღიზიანებულმა ახლობლებმა მათი კუთვნილი ავტომანქანა მიზანმიმართულად დააზიანეს და შუშები ჩაამტვრიეს. მათი მტკიცებით, ავტომანქანაში იყო კომპანია „მაგთის“ ჯიპიესი, სადაც მძღოლი მუშაობდა და ავტომანქანის გადაადგილებაც და სისწრაფეც მასზეა ასახული.

ეკატერინე მაჭარაშვილი (დაკავებულის ადვოკატი): „არ ვასაჩივრებთ მოსამართლის გადაწყვეტილებას. ბრალდებულის პოზიცია პირველივე წუთებიდან ასეთი იყო, რომ თავს გრძნობდა დამნაშავედ, თავად ჩაბარდა პოლიციას, მომხდარს აღიარებდა, ამდენად ჩვენს მხარეს არ აქვს სურვილი

/გაგრძელება გვ. 7/

მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო!

მსოფლიო ჩემპიონატი -2022, პირველად ფეხბურთის ისტორიაში, ზაფხულის ნაცვლად შემოდგომაზე ტარდება. ჯერ იყო და, საზოგადოება ორად გაყო ჩემპიონატის ჩატარების ადგილის ტოპონიმზე მსჯელობამ, სადაც აქტუალური გახდა კითხვა-კატარი თუ ყატარი? როგორც იქნა, მასზე შეჯერდა ხალხი. ახლა მთავარია, ვინ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ფეხბურთში.

საფეხბურთო მღელვარება დაიწყო და მონაწილე გუნდებმა უკვე არაერთი სიურპრიზი შესთავაზეს გულშემატკივარს.

მატჩი,რომელიც იმსახურებდა თუნდაც ერთ გოლს...

ეს იყო მატჩი, რომელიც იმსახურებდა თუნდაც ერთ გოლს - ორივე გუნდი ბევრს და სწრაფად მოძრაობდა, იყო პოზიციური შეტევებიც, ელვისებური კონტრიერიშებიც, შორეული დარტყმებიც, ძელიც (ფედერიკო ვალვერდე), კორეელთა ძალიან რეალური მომენტიც...

მაგრამ, როცა ბურთი ერთხელაც ვერ ხვდება კარის ჩარჩოში და მეკარეებს ერთი "სეივის" შესრულებაც არ უწევთ, იქ 0:0 სრულიად ბუნებრივია.0:00

უბრალოდ, როცა მოედანზე არიან ლუის სუარესი, ედინსონ კავანი, ჰუინ მინ სონი... ცხადია, გულშემატკივარი ყოველთვის მოითხოვს გოლებს...

„ფურია როხას“ ფოიერვერკი და რეკორდების დღე

ესპანეთის ნაკრებმა ფეერიული მატჩი ჩაატარა კოსტა რიკასთან. არის თუ არა ეს "ფურია როხას" ნამდვილი სახე? ფაქტია, ლუის ენრიკეს ბიჭებმა ლამაზად და შედეგიანად ითამაშეს. დაგვეთანხმებით, კეილორ ნავასის კარში 7 გოლის გატანა, როგორი სუსტი დაცვაც არ უნდა გყავდეს, იოლი ნამდვილად არ არის.

არც კოსტა რიკის ნაკრები გვგონია ასეთი სუსტი. ამ გუნდმა შესარჩევ ციკლში მე-4 ადგილი კი დაიკავა, მაგრამ სულ 3 ქულით ჩამორჩა პირველადგილოსან კანადას და 14 მატჩში სულ რაღაც 8 გოლი გაუშვა.

მაშ, რაშია საქმე? ალბათ, უფრო იმაში, რომ ესპანეთი მაღალი კლასის გუნდია, ამ მომენტისთვის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტია და თუ ასე გააგრძელა, ძალიან იოლად მოიგებს E ჯგუფს, მერე კი... აი, მერე, შეიძლება, ახალი ესპანური ეპოქის დასაწყისის მომსწრენი გავხდეთ...

აზიურმა ნაკრებმა კიდევ ერთი ექსჩემპიონი „გააგორა“!..

მუნდიალის კიდევ ერთი სენსაცია - საუდელებზე ნაკლები რითი ვართო და იაპონიამ გერმანიის ნაკრები დაამარცხა! თან ანალოგიური სცენარით - პენალტით გაშვებული გოლით აგებდა, მაგრამ შემოატრიალა თამაში და დამსახურებულად გაიმარჯვა!

არადა, პირველი ტაიმის შემდეგ ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ასეთი ამბები დატრიალდებოდა მეორე ნახევარში. გერმანელებმა საკუთარ ნახევარზე გამოკეტეს იაპონელები და ილქაი გიუნდოგანის 11-მეტრიანით გატანილი გოლი ძალიან მოკრძალებულ შედეგად გამოჩნდა ბუნდესგუნდის კოლოსალური უპირატესობის ფონზე.

თუმცა პირველ ტაიმში იყო ორი-სამი ეპიზოდი, როცა გერმანელებმა მიუტევებლად დაკარგეს ბურთი საკუთარ ნახევარზე და ეს საგანგაშო სიგნალად უნდა მიეღოთ - იაპონია მოედანზე მხოლოდ თავის დასაცავად არ იყო გასული...

მეორე ტაიმის დასაწყისიც გერმანელების იყო. რაღაც მომენტში, ჰანსი ფლიკის შეგირდებს თითქოს გაუჩნდათ განცდა, რომ სადაც იყო მეორე გოლს გაიტანდნენ და ფეხს ფეხზე გადაიდებდნენ...

მაგრამ, ვიდრე ბუნდესგუნდი მეორე გოლს ამწიფებდა, იაპონელთა მწვრთნელმა შეცვლებს მიმართა და „ქარიშხალიც“ ამოვარდა.

აქ კიდევ ერთხელ უნდა ითქვას გერმანელთა დაცვაში დაშვებულ შეცდომებზე, რამაც საბედისწერო შედეგი გამოიღო. მანუელ ნოიერმა ერთ მომენტში კი გადაარჩინა გუნდი, მაგრამ ორ შემთხვევაში უძლური აღმოჩნდა.

შეიძლება კამათი იმაზეც, ნაადრევი ხომ არ იყო ჯამალ მუსიალას შეცვლა, ხოლო იუსუფა მუკოკოს გამოყვანა - დაგვიანებული. ალბათ, გერმანელების სამზარეულოში უთუოდ გაირჩევა ეს ამბები.

...იაპონია კი ზეიმობს - ჯერ მუნდიალის პირველი ტური არ ჩამთავრებულა და მეორე აზიური ნაკრები გახდა, ვინც მსოფლიოს კიდევ ერთი ყოფილი ჩემპიონი დაამარცხა.

ეს დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობაა ჰაჯიმე მორიასუს გუნდისთვის, გერმანელებისთვის კი პირიქით - ჯგუფური ეტაპის დარჩენილი ორივე მატჩი ფინალის ტოლფასია.

ბრძოლა რეკორდისათვის...

პორტუგალიამ და განამ გოლებით საკმაოს გაანებივრეს გულშემატკივარი. არადა, პირველი ტაიმი აქაც ისე წარმართა და დასრულდა, მორიგი 0:0-ისგან ძალიან შორს არ ვიყავით...

ეს კი ყველაზე მეტად ხელს არ აძლევდა ერთ კაცს - კრიშტიანო რონალდოს, რომელიც თავიდანვე შეუდგა რეკორდზე (გოლის შემთხვევაში, ერთადერთი ფეხბურთელი ხდებოდა მსოფლიოში, ვისაც ხუთ მუნდიალზე ექნებოდა გოლი გატანილი) ზრუნვას და ისე ჩანდა, მთელი გუნდიც მასზე მუშაობდა.

რონალდოს რეკორდის დევნაში პორტუგალია ძალიან ერთფეროვნად თამაშობდა - შორეული ჩაწოდებები საჯარიმოში, როგორც ფლანგებიდან, ისე მოედნის ცენტრიდან, ოღონდ, ეგ იყო, რომ უმეტეს შემთხვევაში ბურთი ადრესატამდე ვერ აღწევდა.

პირველ ტაიმში კრიშტიანოს მაინც ჰქონდა შანსი, როცა მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ განელთა კარის დარაჯი დროულად გამოვარდა წინ და... რეკორდის დამყარება გარკვეული ვადით გადაიდო...

განელებს რაც შეეხებათ, მათ რამდენჯერმე გაამწვავეს თამაში, თუმცა დიოგო კოშტას განსაკუთრებული ჯაფა არ დასდგომია. აფრიკული გუნდი აზრობრივად სწორად მოქმედებდა, თუმცა გადამწყვეტ პასს სიზუსტე აკლდა...

მეორე ტაიმი მართლაც თვალსასაჩინო გამოდგა. როგორც იქნა, რონალდომ მოიპოვა პენალტი, რომელიც თავადვე გამოიყენა და რეკორდიც დამყარდა! ასე რომ, კრიშტიანომ ამ მუნდიალზე თავისი მთავარი მისია შეასრულა, ახლა ვნახოთ, გუნდისთვის რამდენად სასარგებლო იქნება...

ისე კი, პენალტი არ იყო 100-პროცენტიანთა კატეგორიიდან, თუმცა, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, ვიდეორეფერიზე შემოწმება არც უფიქრიათ...

მოკლედ, ანგარიში გაიხსნა და ორივე გუნდს საგოლე მადაც გაეხსნა. განელებმა დიდხანს არ აცალეს პორტუგალიელებს ლიდერობით ტკბობა და დანილო პერეირას შეცდომის შემდეგ, ჯორდან აიუმ ახლო მანძილიდან წონასწორობა აღადგინა.

სანამ განელები აზრზე მოვიდოდნენ, ბრუნო ფერნანდეშმა ჟოაო ფელიქსს „დაუხატა“ პასი და პირენეელები ერთხელაც დაწინაურდნენ. იქვე, „მილანის“ გარემარბ რაფაელ ლეაოს სამიოდე წუთი დასჭირდა პორტუგალიის ნაკრების მაისურით პირველი გოლის გასატანად...

მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე აფრიკელებმა კიდევ ერთხელ დაძაბეს სიტუაცია, როცა ოსმან ბუკარიმ თავური დარტყმით სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

მთლად საფინალო სასტვენის წინ კი განელებმა კინაღამ კურიოზულ ვითარებაში გაათანაბრეს ანგარიში - მეკარის უკან ჩასაფრებულმა ინიაკი უილიამსმა დიოგო კოშტასთვის ბურთის წართმევა მოინდომა, წაართვა კიდეც და ის იყო, კარში უნდა შეეგორებინა, რომ... ფეხი დაუცდა და პორტუგალიელებმა ვითარება განმუხტეს...

„ნეიმარი ბუჟეოგაში“ და გოლი, რომელიც ერთ მაგჩად ღირდა

ბრაზილიამ, რომელსაც ბევრი მსოფლიო ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებს, დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო მორიგი სამუნდიალო კამპანია. სერბეთის ნაკრებმა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია წინააღმდეგობა ტიტეს ბიჭებს, რომელთაც ერთადერთი მიზანი აქვთ - მეექვსედ ავიდნენ მსოფლიოს საფეხბურთო მწვერვალზე.

პირველ ნახევარში ბრაზილიელები კი ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ სერბებს საგულდაგულოდ ჰქონდათ გადაკეტილი ზონები და განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ ნეიმარი, რომლის წინააღმდეგაც მარტო პირველ ტაიმში იმდენჯერ დაჯარიმდნენ, მუნდიალის სტარტიდან მეტად სხვას რომ რგებია ანალოგიური "პატივი".

ნეიმარზე მომეტებულმა აქცენტმა კი მოიტანა ის, რომ ხელფეხი გაეხსნათ "სელესაოს" სხვა ვარსკვლავებს, რომლებმაც ცეცხლი დაანთეს სერბების კართან.

გარდამტეხი მომენტი დადგა 62-ე წუთზე, როცა ვინისიუს ჟუნიორის დარტყმის შემდეგ მეკარისგან უკუგდებულ ბურთთან ყველას რიშარლისონმა დაასწრო და ანგარიში გახსნა.

...მაგრამ გოლი, რომელიც 73-ე წუთზე გავიდა, მთელ მატჩად ღირდა - ვინისიუსის მორიგი აქტიურობა ფლანგზე, უზუსტესი პასი იმავე რიშარლისონს, დიდებული „მაკრატელა“და ვანია მილინკოვიჩ-სავიჩი უძლურია - 2:0.

ბრაზილიელებს ყველაფერი გამოსდიოდათ და კიდევ არაერთხელ შეეძლოთ მეტოქის კარის აღება. სერბები კი მთლიანად მოიშალა და მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, როგორმე მეტი გოლი აღარ გაეშვა.

ალბათ, სწორი გათვლა იყო - სერბებს ურჩევნიათ, კონცენტრირება მომდევნო მატჩებზე გააკეთონ, რადგან მზად არ არიან ბრაზილიის წინაში "საჭიდაოდ".

„სელესაომ“ კი ერთხელაც დაამტკიცა, რომ ტყუილად არ არის გამოკვეთილ ფავორიტთა შორის, თუმცა ეს მისთვის ახალი ხილი არ არის, მთავარია, როგორ გაამართლებს ამ სტატუსს...

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ლუკა ბენიაიძის ვერცხლის მედალი უნგრეთიდან

19-20 ნოემბერს უნგრეთის ქალაქ დიორში ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის თასის გათამაშება გაიმართა. საქართველოდან მხოლოდ ბიჭების ნაკრები -12 სპორტსმენით ჭიდაობდა. დედოფლისწყაროდან 90+ წონით კატეგორიაში არხილოსკალოელი ლუკა ბენიაიძე ასპარეზობდა. გუნდურ ჩათვლაში საქართველო პირველ ადგილზეა.

ქართველმა ძიუდოისტებმა ევროპის თასზე კადეტთა შორის ექვსი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მეორე ადგილს და ვერცხლის მედალს **ლუკა ბენიაიძე** (+90კგ) დაეუფლა. ის შეხვდა უკრაინელ მეტოქეს, დავიდ ჰალჰალოვს, კორეელ იონგ ჰუუ ბაეკს და უნგრელ ალექს ტურს. მძიმეწონოსნებმა სლოვენიაში ფინალი იჭიდავეს და შოთა გოჩიაშვილი ჩემპიონი გახდა. ბენიაიძემ რამდენიმე კვირის წინ ასევე ვერცხლის მედალი მოიპოვა სლოვენიაში, ევროპის თასზეც.

ტურნირის ყველა მედალოსანი საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პროექტის „მომავალი - JUDO მოქნილი გზა - გამარჯვებისკენ“ მონაწილეა. საერთო ჯამში, საქართველოს ნაკრებმა რვა წონითი კატეგორიიდან ექვსში ოქროს მედალი მოიპოვა და მიუხედავად იმისა, რომ ტურნირზე მხოლოდ ვაჟთა გუნდით იყო წარმოდგენილი, ვაჟთა და გოგონათა საერთო ჩათვლაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

ჩვენთვის გამორჩეულად სასიამოვნო და იშვიათი ამბავი მოხდა უნგრულ დიორში, სადაც ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის თასი დაიწყო: ბიჭებში 4 წონაში ჩატარდა შეჯიბრება და 4-ში ქართველებმა გაიმარჯვეს! წარმატება ქართული ძიუდოსთვის ნამდვილად არაა „უცხო ხილი“, თუმცა მსგავსი რამ ჩვენთვისაც კი უჩვეულოა და ეს ხშირად ნამდვილად არ ხდება. ტურნირში 29 ქვეყანა გამოდის და ვერ ვიტყვით, რომ სუსტი შეჯიბრებაა. ამასთან, ის უნგრეთში ტარდება, მათი სკოლა კი ერთ-ერთი ანგარიშგასაწევია მსოფლიოში. ამის მიუხედავად, ჩვენებმა ეს კონკურენციაც დაძლიეს და თან როგორ: 4-დან 3-მა ფინალში სწორედ უნგრელი დაამარცხა. საინტერესოა, რომ ეს თითქმის იგივე გუნდია, რომელიც პროექტ „მომავალი ჯუდო - მოქნილი გზა წარმატებისკენ“ ბაზაზეა დაკომპლექტებული. ამ გუნდმა 29-30 ოქტომბერს სლოვენიურ კოპერშიც წარმატებით იჭიდავა, თუმცა მაშინ ასეთი მასშტაბური შედეგი არ ჰქონიათ: 1 ოქრო და 3-3 ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვეს.

ილია მარტყოფლიშვილი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

1947 წელი

✱ წითელწყაროს სახალხო სასამართლომ ამხანაგ ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით გაარჩია საქმეები ბრალდებულების: მიხეილ კაზილოვის, მარია ალაბოვას და ელიზავეტა კრასნოვას მიმართ. მათ ბრალი ედებოდათ მოქალაქეთა საკუთრების ქურდობაში. კაზილოვს, იმისათვის რომ ბაზარზე კოლმეურნე მოსულიშვილს მოჰპარა 3 კგ ყველი, ალაბოვასა და კრასნოვას, რომელთაც წითელწყაროში მცხოვრებ კუზმა გერასიმეს ძე ბალიკას საკარმიდამო ნაკვეთიდან მოჰპარეს 26 კგ კარტოფილი - მიუსაჯა თითეულს 5-5 წელი.

✱ კულტმაღაზიის გამყიდველმა ანიკო ყოჩიაშვილმა ხურდაში მოატყუა მომხმარებელი და ამით სასტიკად დაარღვია ვაჭრობის წესი. ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ეს წერილი გადაეგზავნა რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს, ამხანაგ ნ. კანდელაკს. ის გვატყობინებს, რომ შეამოწმეს და ფაქტი დადასტურდა. დამნაშავის მიმართ მიიღეს ადმინისტრაციული ზომები.

✱ სხარტულა წითელწყაროს კომუნალურ განყოფილებას:

„წყალსადენი გაყინულა, ის წყალგამოლეული
წვით და დაგვით ნაშენები ცოდვის ერთი აბანო,
ნეტავ ერთხელ აღირსებდე ვისმე ფეხი დაბანო:
შენობები რას ჩივიან, იცი, ჩემო კომგანო:
პატრონს ხელი აუღია, არ უნდივართ უგვანო,
რა ბრალში ვართ გენაცვალეთ, ვზიდეთ ბევრი ტვირთიო,
თუ რემონტსა არ გვაღირსებთ, მაშინ გქონდეთ რიდიო“. (ავტორი: ცქიფა)

✱ ნავთლულის მაღაზიამ საუცხოო ინიციატივა აიღო წითელწყაროს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. საშემოდგომო ხვნა-თესვის კამპანიასთან დაკავშირებით მოაწყეს ავტომანქანით დატარებითი სამრეწველო საქონლის ვაჭრობა. თბილისიდან ჩამოიტანეს 600 ათასი მანეთის სამრეწველო, ფართო მოხმარების საქონელი. ორი დღის ვაჭრობის შედეგად სოფ. ჯაფარიძისა და წითელწყაროს კოლმეურნეობებში გაიყიდა ნახევარი. დანარჩენის რეალიზება ხდება სხვა სოფლებში. აღსანიშნავია გამყიდველების კულტურული მოპყრობა. იგივე ითქმის მოძრავი ვაჭრობის დანარჩენ მუშაკებზე. წითელწყაროელი მშრომელების სურვილია, ხშირად მოაწყონ მოძრავი, დატარებითი ვაჭრობა ფართო ასორტიმენტით.

✱ ამა წლის 21 ნოემბრიდან დაიწყო მუშაობა წითელწყაროს ექვსთვიანმა პარტიულმა სკოლამ, რომელშიაც გაერთიანებულია რაიონის ცენტრის პარტიული აქტივიდან 24 ამხანაგი. სკოლაში იკითხება დისციპლინები: საკავშირო კ.პ.(ბ) ისტორიის მოკლე კურსი, სსრ კავშირისა და უცხოეთის ეკონომიკური გეოგრაფია, პარტიული და საბჭოთა მუშაობის საკითხები და ეკონომიკა. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ - ორშაბათსა და პარასკევს, დღეში 4 საათი. ლექტორებად დამტკიცებული არიან ამხანაგები: ს. ბაღაშვილი, ი. მენთეშაშვილი, მ. ლაპიაშვილი და ბ. კობალაძე.

✱ წ/წყაროს საქნავთის მუშათა კლუბში სიღნაღის სახელმწიფო თეატრმა ჩაატარა ერისთავის პიესა „სამშობლო“, რამაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. უახლოეს დღეებში ამავე თეატრის მიერ ნაჩვენები იქნება შილერის პიესა „ვერაგობა და სიყვარული“. ორივე პიესის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ს. მებურიშვილს.



კროსვორდი



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. რომელი ლითონისგან იყო დამზადებული ჯარისკაცები ანდერსენის ზღაპარში; 2. სრუტე პა-დე-... 3. ოპერა, რომელიც ჯუზეპე ვერდიმ სუეცის არხის გახსნასთან დაკავშირებით დაწერა; 4. რა ნაგებობაა სან-ფრანცისკოში „ოქროს კარიბჭე“; 5. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფულის ერთეული; 6. ქედი, რომელზეც გადის ევროპასა და აზიას შორის წარმოსახვითი საზღვარი; 7. ზამბახი; 10. ყავის ჯიში; 11. ხმელეთის ყველაზე სწრაფი ცხოველი; 12. ბალახი, რომლისგანაც შაქარს იღებენ; 13. თვითნასწავლი მხატვრობა; 14. აშშ-ში: კონსტიტუციური აქტი; 15. ბოსტნეული, რომელიც მკვახე; მდგომარეობაში საჭმელად ვარგისია; 16. გიორგი საakაძის მშობლიური სოფელი; 20. ოჯახური კერის მფარველი ქალღმერთი რომაულ მითში; 21. ბრინჯაო; 22. თვალის თეთრი გარსი; 24. ოპტიკური მოვლენა უდაბნოში; 25. ინერტული აირი; 26. ფარული დაცინვა; 28.დასავლეთ საქართველოს მთავარი წყალშემკრები მდინარე; 31. ტურ ჰეიერდალის პაპირუსის გემი; 32. ალ პაჩინო ფილმში „... ტრეისი“; 34. მარკ ტვენი - „... სოიერის თავგადასავალი“

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. სპილოს წაგრძელებული ცხვირი; 8. ამერიკელი ფერმერები რის ბურთულებს მარხავდნენ მიწაში სინოტივის დასადგენად; 9. გემი, რომლითაც კაპიტან გრანტს ეძებდნენ 37 პარალელის გასწვრივ; 10. ზღვაოსანი, რომელიც წყნარი ოკეანის „ნათლიად“ ითვლება; 14. ატოლი, რომლის სახელიც ღია სბანაო კოსტიუმს უწოდეს; 17. პოლონელი მეცნიერი, ჰელიოცენტრული სისტემის ფუძემდებელი; 18. ყვავილი, რომელიც ძველ ეგვიპტეში სიწმინდის სიმბოლოდ აღიქმებოდა; 19. ქალაქი კრასნოდარის მხარეში; 23. ალტერ ეგო, ანუ სხვა; 24. მომღერალი ... მატიე; 27. მუხლის თავის პატარა მრგვალი ძვალი; 29. გამოგონება, რომელსაც ერომანეთის პოპოვი და მარკონი ეცილებოდნენ; 30. ჭრილი ბანიანი სახლის ჭერში; 33. ჰუნების ბელადი; 35. მდინარე, რომელსაც გერმანიის „სანარეცხე ვედროს“ უწოდებენ; 36. სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“. მთხრობელი ... ლოლაშვილი; 37. „ღვინომ ხე ... გახეთქა და კაცი ვერაო“; 38. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში

ზემო ქედში 5 წლის ბიჭის გარდაცვალების საქმის დეტალები

სასამართლო დარბაზიდან

/დასაწყისი გვ.5/

გადაწყვეტილება გასაჩივრდეს, თუ ეს პროკურატურამ არ გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციაში.

– ოჯახი, სადაც მოზარდი სტუმრად იმყოფებოდა, ამტკიცებდა, რომ მძღოლი ფხიზელი არ იყო, რამდენად დროულად ჩატარდა სიფხიზლის დასადგენი ექსპერტიზა?

– ვანო წიკლაურს დაკავებისთანავე ჩაუტარდა ალკო-ტესტი სიმთვრალეზე, თუმცა, ვინაიდან ეს უტყუარი არ არის, აუცილებელი გახდა ქიმიური ექსპერტიზის ჩატარებაც. ეს კვლევა მაღალი სიზუსტით გვაძლევს მონაცემებს, აღინიშნება თუ არა სისხლში ალკოჰოლური, ან ნარკოტიკული თრობა. დასკვნის მიხედვით დადასტურდა, რომ არანაირი თრობა დაკავებულს იმ მომენტში არ აღენიშნებოდა. ამიტომაც, მას წარდგენილი აქვს შემამსუბუქებელ გარემოებებთან შესაბამისი მუხლი, რომელიც 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. თრობის დაფიქსირების შემთხვევაში დამამძიმებელი გარემოების გამო 6-დან 9 წლამდე პატიმრობა დაემუქრებოდა.

– უშუალოდ ტრაგედიაზე ვისაუბროთ, როგორ მოხდა შეჯახება და რატომ ვერ მოასწრო ამ შედეგის თავიდან არიდება?

– საღამოს საათებში, საკუთარი ავტომობილით მიდიოდა ბებიასთან, რომელიც ცალკე ცხოვრობს. კარგი ხილვადობა და გზაზე თავისუფალი მოძრაობა იყო. გზის ერთ მონაკვეთზე რამდენიმე თვის განმავლობაში ხანგრძლივად გაჩერებული იყო სატვირთო მანქანა, სწორედ ამის გამო ვერ შენიშნა ბავშვი. მარჯვნიდან მოულოდნელად გამოვარდა მცირეწლოვანი, ვერ მოასწრო ვერანაირი მანევრის გაკეთება. საჭე მარცხნივ მიმართა, სხვა ზოლში გადავიდა, გამოიყენა მუხრუჭიც, მაგრამ შეჯახება მაინც ვერ აირიდა. ცოტა დრო ჰქონდა რეაგირებისთვის და მარჯვენა კუთხით შეეჯახა. რომ არ ყოფილიყო მცირეწლოვანი, შესაძლოა, უფროს ასაკში ასეთი საბედისწერო არ ყოფილიყო შედეგი. საქმის მასალების მიხედვით არ ჩანს, ბავშვი მარტო იმყოფებოდა თუ არა, მანამდე სხვა მოზარდმა გადაკვეთა თუ არა გზა. საქმეში არსებობს მხოლოდ გამოძიების მიერ შედგენილი ნახაზი, სად მოხდა შეჯახება, სად გამოიყენა მუხრუჭი, სად იყო ბავშვი და სად გაჩერებული სატვირთო ავტომობილი.

– რა შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები გამოიკვეთა სასამართლო სხდომებზე?

– ვინაიდან ბრალდებული პირველივე წუთიდან თავს დამნაშავედ ცნობდა, ინანიებდა მომხდარს, შეჯახების შემდეგ ბავშვი თავად აიყვანა, საავადმყოფოშიც თავად წაიყვანა. ეს ცხადია არის შემამსუბუქებელი გარემოება. საკანში ყოველდღიურად ლოცულობს გარდაცვლილის სულისთვის. უჭირს ჭამა და ძილი, შეექმნა ფსიქოლოგიური პრობლემები. პენიტენციურ დაწესებულებაში ხშირად დასჭირდა მკურნალობის კურსის გავლა. ამის მიუხედავად, მან კატეგორიულად ამიკრძალა, ყურადღება მის მდგომარეობაზე გამემახვილებინა, ან რაიმე დასკვნა მომეთხოვა. სასამართლო სხდომაზეც მან პირდაპირ თქვა, რომ ეს მისი ჯვარია, ასევე მისი ტრაგედიაა, აღარ აქვს მნიშვნელობა რა შეეძლო გაეკეთებინა და რა მოახერხა. ბავშვია გარდაცვლილი და აქ დამთავრდა ყველაფერი.

ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირად მიმუშავია ავტოსაგზაო შემთხვევებზე და გადარჩენის ინსტიქტია, როცა მძღოლები შემთხვევის ადგილიდან მიიმალებიან. ამ შემთხვევაში ასე არ მომხდარა და პირიქით, თავად უზრუნველყო დაშავებული სამედიცინო პუნქტამდე მიეყვანა. კანონშიც მკაფიოდ წერია, რომ აღიარება, მონანიება, გამოძიებასთან თანამშრომლობა შემამსუბუქებელი გარემოებებია. ასევე, არ დაფიქსირდა არანაირი სახის თრობა. ამიტომაც სასამართლომ კანონით გათვალისწინებული შეღავათი გასწია და მის მიმართ გამოიყენა სასჯელის მინიმალური ზომა.

– თვითმხილველების ჩვენებები თუ დევს საქმეში, რას ყვებიან მოწმეები?

– მძღოლთან ერთად იმავე ავტომანქანაში ისხდნენ კიდევ მისი ორი მეგობარი, სხვა პირდაპირი მოწმე ამ საქმეს არ ჰყავს. როგორც ისინი აღწერენ, ცოტა ქვემოთ, მოქალაქეები ქუჩაში იყვნენ, თუმცა ისინი მომხდარს კარგად ვერ დაინახავდნენ, ამიტომაც ირიბ მოწმეებად ითვლებიან. საქმეში არ არსებობს სხვა პირდაპირი მოწმე მგზავრების გარდა. არსებობდა ნახაზი, მუხრუჭის კვალი, ამ მასალებზე დაყრდნობით იმსჯელა გამოძიებამ.

არანაირი კომუნიკაცია დაზარალებულ მხარესთან არ გვქონია. დაკავებულის ოჯახი შეეცადა სამძიმარზე მისულიყვნენ, მაგრამ არ ისურვეს და ვერ მოხერხდა. ოჯახი ითხოვდა მკაცრად დასჯილიყო მძღოლი. აბსოლუტურად გვესმის მათი ტკივილი და მეც და მსჯავრდებულსაც გვინდა მკაფიოდ დავაფიქსიროთ, რომ მთელი გულით ვწუხვართ და სამძიმარს ვუცხადებთ, გამძლეობას ვუსურვებთ მათ. მინდა ოჯახმა იცოდეს, რომ საკანში ყოველდღე ლოცულობს გარდაცვლილის სულისთვის და უზომოდ განიცდის ამ ტრაგედიას. მისთვისაც მძიმეა ეს, მაგრამ რაც მას არ ჩაუდენია, იმას ნუ მივაწერთ, რაშიც დამნაშავეა ამაზე პასუხისმგებლობას არ გაურბის. უბედური შემთხვევისგან არავინაა დაზღვეული“...

გასაჩივრების შემთხვევაში ზემდგომ ინსტანციას შეუძლია სიღნაღის სასამართლოს განაჩენი გააუქმოს, საქმის განხილვა ხელახლა დაიწყოს.

ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲧᲝᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის სახელით: ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი, მარიკა პოპიაშვილი, ნანა საბანაძე, ხათუნა აგლაძე, მარინა ხარაშვილი, თამარ მოძღვრიშვილი, დიტო ყოჩიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მწერალთა ასოციაციის თავჯდომარეს, ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელს გიორგი ნატროშვილს დედის

ᲜᲐᲘᲠᲐ ᲒᲐᲠᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

კიდევ ერთი დაცული ტერიტორია იქმნება

ვაშლოვანის და ჭაჭუნას შემდეგ დედოფლისწყაროში კიდევ ერთი დაცული ტერიტორია იქმნება. კანონპროექტი უკვე პარლამენტშია და მისი განხილვა მიმდინარეობს. დედოფლისწყაროში დაცული ტერიტორიების ზრდის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, რაც ბოლო წლებში ადგილზე ქურციკების თაობების გამრავლება მოხერხდა, მათი გადარჩენისთვის კი დაცული გარემო აუცილებელია. რამდენიმე წლის წინ ქურციკი ბრაკონიერების მსხვერპლი გახდა, სწორედ ამიტომ ვაშლოვანთან მდებარე სამუხის ველს დაცული ტერიტორიების სტატუსი მიენიჭება. ეს საქართველოში პირველი მრავალმხრივი გამოყენების დაცული ზონა იქნება. სამუხის ველი 13 273.43 ჰექტარია და მისი ახალი სტატუსი ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან შევა.

კანონპროექტი მომზადდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით. WWF სამუხის ველზე ახორციელებს ქურციკების პოპულაციის აღდგენის პროექტს და პოპულაციისა და მისი ჰაბიტატის დასაცავად რამდენიმე წლის წინ დაიწყო სამუხის ველზე კვლევების ჩატარება, რაც საფუძვლად დაედო კანონპროექტის მომზადებას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის დაცული ტერიტორიების პოლიტიკის სამმართველოს ექსპერტი ვაჟა ყოჩიაშვილი მრავალი წელია სამუხის ველზე მუშაობს. ამიტომ ამ ზონის თავისებურებებზე სასაუბროდ „შირაქი“ სწორედ მას შეხვდა.

ვაჟა ყოჩიაშვილი: „დედოფლისწყაროში გვაქვს დაცული ტერიტორიების სხვადასხვა კატეგორიების მრავალფეროვნება. ესენია: ვაშლოვანის ნაკრძალი, ეროვნული პარკი, არწივის ხეობის, კაკლის ყურისა და ტახტი თეფას ბუნების ძეგლები, ასევე ჭაჭუნას აღკვეთილი და დაემატება სამუხის მრავალმხრივი დაცული ტერიტორია. ანუ დაცული ტერიტორიების 6 კატეგორიიდან რაიონში ამჟამად გვაქვს 4 (ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი და აღკვეთილი). სამუხის აღიარების შემდეგ გვექნება მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიაც, რაც უკვე 6-დან 5-ის ადგილზე არსებობას გულისხმობს. დედოფლისწყაროში მხოლოდ დაცული ლანდშაფტი არ გვაქვს, რადგან ამ კატეგორიაში სოფლები და ისტორიულ-კულტურული ადგილები შედის, მაგალითად თუშეთ-ხევსურეთის სოფლები.

არსებობს 6 სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორია, სადაც განსხვავებული რეგულაციები და რეჟიმი მოქმედებს. 1) სახელმწიფო ნაკრძალი, 2) ეროვნული პარკი, 3) ბუნების ძეგლი, 4) აღკვეთილი, 5) დაცული ლანდშაფტი, 6) მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. სამუხი იქნება მეექვსე კატეგორიის დაცული ტერიტორია. სადაც დასაშვებია სამეურნეო საქმიანობები. მეცხოველეობა და ა.შ. აკრძალულია მხოლოდ ნადირობა, თევზაობა და სხვა სახის ზიანის მიყენება გარემოზე. ასევე სხვა დაცული ტერიტორიებისგან განსხვავებით, რომლებსაც დაცული ტერიტორიების სააგენტო ადგილობრივი ადმინისტრაციების მეშვეობით მართავს, სამუხის შემთხვევაში მეექვსე კატეგორიის მართვა კომპლექსურად მოხდება მუნიციპალიტეტთან ერთად. სამუხი ცალკე იქნება, თუმცა იგი დააკავშირებს ვაშლოვანსა და ჭაჭუნას და დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელი და კორიდორი გახდება.

კვლევების, კანონპროექტის მომზადების, მისი დახვეწისა და პარლამენტში გატანის პროცესში ჩართული იყო WWF, დაცული ტერიტორიების სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. დედოფლისწყაროდან უშუალოდ ჩართული მე ვიყავი, კვლევიდან დაწყებული შემდეგი ეტაპების ჩათვლით, რადგან ვმუშაობ როგორც WWF–ში, ასევე სააგენტოსა და სამინისტროშიც. მომზადების ეტაპზე შეხვედრები შედგა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, როგორიცაა ადგილობრივი მოსახლეობა, ვაშლოვანის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტის მერია, მესაზღვრეები.

საქართველოში გვაქვს როგორც ეროვნული დაცული ტერიტორიები, ასევე საერთაშორისო. ასეთია მაგალითად ზურმუხტის ქსელი, რომელიც აერთიანებს მნიშვნელოვანი სახეობების ჰაბიტატებს და მათი დაცვა გვევალება „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციით“.

მსგავსი მნიშვნელოვანი ტერიტორიების ნაწილი იდენტიფიცირებულია, მისი მნიშვნელობა და უკვე აქვს მინიჭებული ზურმუხტის საიტის სტატუსი.

ხოლო ზოგიერთი ტერიტორია, მაგალითად სამუხის ველი, წარმოადგენს შეთავაზებულ, კანდიდატ საიტს, რომლისთვის სტატუსის მონიჭება მოხდება სპეციალური ეტაპების გავლის შემდეგ.

ნუგზარ ზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორია პირველი სახელობითი დაცული ტერიტორიაა საქართველოში და ემსახურება ნუგზარ ზაზანაშვილის სახელის უკვდავყოფასა და საქართველოში ბუნების კონსერვაციაში, დაცული ტერიტორიების დაარსებასა და განვითარებაში შეტანილი მისი უდიდესი წვლილის დაფასებას. იგი იყო გამოჩენილი ეკოლოგი, პროფესორი, პოეტი და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კონსერვაციული მიმართულების ხელმძღვანელი. მისი თაოსნობით ქვეყანაში უამრავი დაცული ტერიტორია შეიქმნა, რამაც ხელი შეუწყო უამრავი უნიკალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და გადაშენების პირას მყოფი სახეობების მნიშვნელოვან ზრდას. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ქურციკების აღდგენის/რეინტროდუქციის პროექტსაც, რომელიც დღეს წარმატებით ხორციელდება.

სამუხის ველი წარმოადგენს მნიშვნელოვან ჰაბიტატს, სამიგრაციო, სანადირო, საკვებ და საბუდარ ტერიტორიას ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ფაუნის წარმომადგენლებისათვის. ვაშლოვანში გავრცელებული მტაცებელი ცხოველების და ფრინველების მრავალფეროვნება პირდაპირ კავშირშია სამუხის ტერიტორიასთან, რადგან იგი წარმოადგენს საკვების მნიშვნელოვან ბაზას და შესაბამისად, ამ ტერიტორიას ივრის ზეგანის ეკოსისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

გარდა ამისა, სამუხის ველზე გავრცელებულია ისეთი სახეობები, რომლებიც თვითონ ვაშლოვანის ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არ გვხვდება. სამუხის ველი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ჰაბიტატს ქურციკისთვის და იდეალურად შეესაბამება მის დღევანდელ მდგომარეობას. სამუხის ველს ქურციკის პოპულაციის სრულფასოვნად აღდგენის უდიდესი პოტენციალი გააჩნია. იგი თავისი საზღვრისპირა მდებარეობით, რელიეფითა და ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი ბარიერებით წარმოადგენს იზოლირებულ ფართობს, სადაც მარტივადაა შესაძლებელი, როგორც პოპულაციის დამაგრება, ასევე მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამუხის ველზე მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის დაარსების მთავარი მიზანია, ქურციკების პოპულაციის აღდგენა და გამორჩეული კონსერვაციული ღირებულების მქონე ბიომრავალფეროვნების ფორმირება, მისი დაცვა და შენარჩუნება. ასევე იქ არსებული ტრადიციული საქმიანობების ხელშეწყობა და გარემოს დაცვასთან ჰარმონიზება.

ამჟამად, კანონპროექტმა „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ გაიარა დარგობრივი საკომიტეტო მოსმენები და მის დამტკიცებამდე დარჩენილია საპარლამენტო სესიების ეტაპი.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის სტატუსი აღნიშნულ ტერიტორიაზე ზღუდავს ნადირობას, წყლის უხერხემლოთა მოპოვებას, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარ სარგებლობას, რათა შესაძლებელი იყოს საქართველოს ტერიტორიაზე სიცოცხლისუნარიანი, სრულფასოვანი ქურციკებისა და სხვა ბიომრავალფეროვნების უნიკალური დაცვა და შენარჩუნება. კანონპროექტის მიხედვით, ტერიტორიის მართვა მოხდება ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ხოლო ტერიტორიის დაცვას და კონტროლს განახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მაკონტროლებელი უწყებები, მათ შორის ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია.

კანონის მიღების შედეგად გაუმჯობესდება სამუხის ველზე არსებული ზურმუხტის კანდიდატი ტერიტორიის (GE0000061) მართვა, განვითარდება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, შეიქმნება ჭაჭუნას აღკვეთილთან დამაკავშირებელი ეკოლოგიური დერეფანი, რომელიც წვლილს შეიტანს დაცული ტერიტორიების ქსელის ურთიერთდაკავშირებაში. კანონის მიღება აგრეთვე ხელს შეუწყობს დედოფლისწყაროს გეგმარებითი ბიოსფერული რეზერვატის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. სამუხის ველისთვის მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის სტატუსის მინიჭება წარმოადგენს კავკასიის ეკორეგიონის საკონსერვაციო გეგმის პრიორიტეტს“.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

გოდერძი გონაშვილს !

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრს, „მეტრის“ ნომინანტს, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა პრესტიჟულ ნომინაციაში გამოვლენილ ნომინანტს ბატონ გოდერძის გულწრფელად ვულოცავთ შვილიშვილების - თინათინ და სანდრო ხარაზიშვილების გაბედნიერებას. ახალდაქორწინებულ წყვილს ვუსურვებთ სიყვარულს, სიხარულს, გამრავლებას. ბატონო გოდერძი, ოთხი შვილიშვილის დიდი პაპა ბრძანდებით, სულ გახარებული ყოფილიყავით თქვენი სახელოვანი შვილების: გიას და ეკას წარმატებებით.

პატივისცემით, დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია

იყიდება!

იყიდება ქალაქ დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩაზე „საქართველოს ბანკის“ კორპუსში სამოთახიანი საცხოვრებელი ბინა, ორი აივნით. ტელ: 577 95 83 59.

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 28.11		სამშაბათი 29.11		ოთხშაბათი 30.11		ხუთშაბათი 01.12		პარასკევი 02.12		შაბათი 03.12		კვირა 04.12	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
10°	4°	8°	3°	6°	1°	5°	0°	6°	0°	6°	0°	6°	-1°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი